საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

16/12/2022

2062-09-02-11-3-202212161336

N 2062

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, გეგზავნებათ პეტიცია - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული საზაფხულო იალაღებისთვის დამატებითი სასწრაფო-სამედიცინო მანქანების შემენისა და ზაფხულობით იალაღებზე მცხოვრები მოსახლეობის პერიოდული უფასო სამედიცინო კვლევების ჩატარების შესახებ“ (N09-02-13-ა/855, 25.10.2022 წელი, პეტიციის ავტორი: ნესტან ანანიძე) თანდართულ მასალებთან ერთად.

დანართი: 2 (ორი) PDF ფაილი.

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

09-01-08/39
26/12-22

თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

29/11/2022
N 1929

1929-09-02-11-3-202211291152

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, 2022 წლის 25 ოქტომბერს, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის შესაბამისად, შემოვიდა ელექტრონული პეტიციის განაცხადი - **„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული საზაფხულო იალაღებისთვის დამატებითი სასწრაფო-სამედიცინო მანქანების შემენისა და ზაფხულობით იალაღებზე მცხოვრები მოსახლეობის პერიოდული უფასო სამედიცინო კვლევების ჩატარების შესახებ“** (09-02-13-ა/855, 25.10.2022წ. პეტიციის ავტორი: ნესტან ანანიძე). წარმოდგენილი პეტიცია, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე, 2022 წლის 28 ოქტომბერს, მხარდამჭერების შეგროვების მიზნით (არანაკლებ 200 მხარდამჭერი), გამოქვეყნდა ვებპლატფორმაზე - chaerte.sca.ge.

2022 წლის 28 ნოემბერს, ხელმოწერების შესაგროვებლად რეგლამენტით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა ამოიწურა. პეტიციამ ამ პერიოდში დააგროვა 230 ხელმოწერა.

გიგზავნით ზემოთაღნიშნულ პეტიციას, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნას და პლატფორმა chaerte.sca.ge-ს საშუალებით შეგროვებული მხარდამჭერების სიას შემდგომი რეაგირებისთვის.

დანართი „12„ ფურცელი

ზურაბ ჭურკვეიძე

აპარატის უფროსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - მიმდინარე პეტიცია

ავტორის სახელი: ნესტან

ავტორის გვარი: ანანიძე

ავტორის სახელი ბარათიდან: Nestan

ავტორის გვარი ბარათიდან: Ananidze

ავტორის პირადი ნომერი ბარათიდან: [redacted]

ავტორის მობილური: [redacted]

ავტორის ელფოსტა: [redacted]

პეტიციის სათაური: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული საზაფხულო იალაღებისთვის დამატებითი სასწრაფო-სამედიცინო მანქანების შეძენისა და ზაფხულობით იალაღებზე მცხოვრები

პეტიციის შინაარსი

აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზაფხულო იალაღებზე ტრადიციულად წლის განმავლობაში რამდენიმე თვეს ატარებს: ჩამოყალიბებული ტრადიცია მოიცავს მესაქონლეობის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გაძღოლას, რძისგან მიღებული პროდუქტების რეალიზაციას, რაც იალაღებზე მცხოვრები ოჯახების შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, ამავდროულად, იალაღებზე გატარებული თვეების განმავლობაში ოჯახები ზამთრის მარაგს ქმნიან.

რელიეფური სირთულისა და გეოგრაფიული დაშორების გამო ათასობით მცხოვრები ხშირ შემთხვევაშია მოკლებულია ჯეროვან სამედიცინო მომსახურებას, რესურსების სიმწირის გამო სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები რთულად აღწევენ სხვადასხვა დასახლებამდე, პრაქტიკულად უფუნქციოა ათწლეულების წინ გახსნილი რამდენიმე ამბულატორია, მედიკამენტების შესაძენად მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში უწევთ გადაადგილება. ამ და სხვა საჭიროებებზე სათანადო დოკუმენტები (საჭიროებების კვლევა, რეკომენდაციების პაკეტი) მუნიციპალიტეტებს და აჭარის მთავრობას არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე სექტორმა“ მოამზადა, რომელმაც 2020 წელს რამდენიმე იალაღზე განახორციელა პროექტი „სამთო ექსპრესი“.

„სოლიდარობის თემისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ სამოქალაქო საბჭოების ინიციატივითა და ორგანიზებით მომზადებული ნინამდებარე პეტიციის მიზანია, აჭარის უმაღლესმა საბჭომ არსებული დოკუმენტებისა და მონაცემების გათვალისწინებით, მოიკვლიოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სამთო იალაღებზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების დამატების, ახალი, სამთო რელიეფზე მორგებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენისა და მათი სრულად დატვირთვის შესაძლებლობები. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებით ცნობილია, რომ აჭარის მთავრობა პერიოდულად ამატებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებს მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ბოლო ასეთი ფაქტი 2017 წელს მოხდა, რაც ცალსახად მისასალმებელი გადაწყვეტილებაა). ვფიქრობთ, რომ აჭარის მთავრობას მზარდი საბიუჯეტო შემოსავლების გათვალისწინებით, ნამდვილად აქვს რესურსი, სულ მცირე, 1-1 სასწრაფო თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების მანქანა დაამატოს ქედაში, შუახევსა და ხულოში - ეს მანქანები პარამედიკოსებთან ერთად ზაფხულის პერიოდში იალაღებზე მცხოვრებ მოქალაქეებს მოემსახურებიან, შემოდგომა-ზამთარში კი მთელ მუნიციპალიტეტს. ამავდროულად, ვფიქრობთ, რომ აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა შეიმუშავოს ახალი პროგრამები იმისთვის, რომ მოილაღეებს გარკვეული პერიოდულობით შესთავაზონ უფასო სამედიცინო კვლევები, პირველადი საჭიროების მედიკამენტები, პროცესის ადმინისტრირებაში შეიძლება ჩაერთონ მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები, მუნიციპალიტეტების მერიების რწმუნებულები ადმინისტრაციულ ერთეულებში. კვლევების საჭიროება გამომდინარეობს მოიალაღე ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობიდან, არასახარბიელო სოციალ-ეკონომიკური ფონიდან და ჯანდაცვის სერვისებზე არასათანადო ხელმისაწვდომობიდან. ასევე, მნიშვნელოვანია სამინისტრომ მოიკვლიოს და შეისწავლოს ფუნქციური მოძრავი ამბულატორიების (სპეციალური სამედიცინო ავტომობილების) შეძენისა და დამატების შესაძლებლობა მთიანი აჭარის იალაღებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსული № 09-02/13-3/855
მე-01 დანართი
25 10 2022 წ.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

27/10/2022
N 1738

1738-09-02-11-3-202210271733

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული საზაფხულო იალაღებისთვის დამატებითი სასწრაფო-სამედიცინო მანქანების შეძენისა და ზაფხულობით იალაღებზე მცხოვრები მოსახლეობის პერიოდული უფასო სამედიცინო კვლევების ჩატარების შესახებ“
პეტიციის თაობაზე

(N09-02-13-ა/855, 25.10.2022 წ. პეტიციის ავტორი: ნესტან ანანიძე)

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული საზაფხულო იალაღებისთვის დამატებითი სასწრაფო-სამედიცინო მანქანების შეძენისა და ზაფხულობით იალაღებზე მცხოვრები მოსახლეობის პერიოდული უფასო სამედიცინო კვლევების ჩატარების შესახებ“ მოქალაქე ნესტან ანანიძის 2022 წლის 25 ოქტომბრის N09-02-13-ა/855 პეტიცია.

წარმოდგენილი პეტიციის შინაარსი შეესაბამება პეტიციის წარდგენის მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებულ „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხარდამჭერთა შეგროვების

მიზნით მისი გამოქვეყნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

პეტიციის სახით წარსადგენი საკითხის დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული საზაფხულო იალაღებისთვის დამატებითი სასწრაფო-სამედიცინო მანქანების შეძენისა და ზაფხულობით იალაღებზე მცხოვრები მოსახლეობის პერიოდული უფასო სამედიცინო კვლევების ჩატარების შესახებ

პეტიციის შინაარსი (შესაბამისი ტექსტი, მოთხოვნა, დასაბუთება)

აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზაფხულო იალაღებზე ტრადიციულად წლის განმავლობაში რამდენიმე თვეს ატარებს: ჩამოყალიბებული ტრადიცია მოიცავს მესაქონლეობის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გაძღოლას, რძისგან მიღებული პროდუქტების რეალიზაციას, რაც იალაღებზე მცხოვრები ოჯახების შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, ამავდროულად, იალაღებზე გატარებული თვეების განმავლობაში ოჯახები ზამთრის მარაგს ქმნიან.

რელიეფური სირთულისა და გეოგრაფიული დაშორების გამო ათასობით მცხოვრები ხშირ შემთხვევაშია მოკლებულია ჯეროვან სამედიცინო მომსახურებას, რესურსების სიმწირის გამო სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები რთულად აღწევენ სხვადასხვა დასახლებამდე, პრაქტიკულად უფუნქციოა ათწლეულების წინ გახსნილი რამდენიმე ამბულატორია, მედიკამენტების შესაძენად მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში უწევთ გადაადგილება. ამ და სხვა საჭიროებებზე სათანადო დოკუმენტები (საჭიროებების კვლევა, რეკომენდაციების პაკეტი) მუნიციპალიტეტებს და აჭარის მთავრობას არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე სექტორმა" მოამზადა, რომელმაც 2020 წელს რამდენიმე იალაღზე განახორციელა პროექტი „სამთო ექსპრესი".

„სოლიდარობის თემისა" და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" სამოქალაქო საბჭოების ინიციატივითა და ორგანიზებით მომზადებული წინამდებარე პეტიციის მიზანია, აჭარის უმაღლესმა საბჭომ არსებული დოკუმენტებისა და მონაცემების გათვალისწინებით,

მოიკვლიოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სამთო იალაღებზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების დამატების, ახალი, სამთო რელიეფზე მორგებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენისა და მათი სრულად დატვირთვის შესაძლებლობები. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებით ცნობილია, რომ აჭარის მთავრობა პერიოდულად ამატებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებს მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ბოლო ასეთი ფაქტი 2017 წელს მოხდა, რაც ცალსახად მისასალმებელი გადაწყვეტილებაა). ვფიქრობთ, რომ აჭარის მთავრობას მზარდი საბიუჯეტო შემოსავლების გათვალისწინებით, ნამდვილად აქვს რესურსი, სულ მცირე, 1-1 სასწრაფო თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების მანქანა დაამატოს ქედაში, შუახევსა და ხულოში - ეს მანქანები პარამედიკოსებთან ერთად ზაფხულის პერიოდში იალაღებზე მცხოვრებ მოქალაქეებს მოემსახურებიან, შემოდგომა-ზამთარში კი მთელ მუნიციპალიტეტს. ამავდროულად, ვფიქრობთ, რომ აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა შეიმუშავოს ახალი პროგრამები იმისთვის, რომ მოილაღეებს გარკვეული პერიოდულობით შესთავაზონ უფასო სამედიცინო კვლევები, პირველადი საჭიროების მედიკამენტები, პროცესის ადმინისტრირებაში შეიძლება ჩაერთონ მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები, მუნიციპალიტეტების მერიების რწმუნებულები ადმინისტრაციულ ერთეულებში. კვლევების საჭიროება გამომდინარეობს მოიალაღე ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობიდან, არასახარბიელო სოციალ-ეკონომიკური ფონიდან და ჯანდაცვის სერვისებზე არასათანადო ხელმისაწვდომობიდან. ასევე, მნიშვნელოვანია სამინისტრომ მოიკვლიოს და შეისწავლოს ფუნქციური მოძრავი ამბულატორიების (სპეციალური სამედიცნო ავტომობილების) შეძენისა და დამატების შესაძლებლობა მთიანი აჭარის იალაღებზე.